განკარგულება:**g-37.37211823**
თარიღი:**01/07/2021**

განკარგულება № 34

ქ. ოზურგეთი 1- ივლისი 2021 წელი

ქალაქ ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩა N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე კედელზე, გამოჩენილი ქორეოგრაფის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის ,,ჯუმბერ დუნდუას“ სახელობითი მემორიალური დაფის განსათავსებლად - გარდაცვალების ვადის (15 წლის გასვლამდე) შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩა N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე კედელზე, გამოჩენილი ქორეოგრაფის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის ,,ჯუმბერ დუნდუას“ სახელობითი მემორიალური დაფის განსათავსებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე დაშვებული იქნას გამონაკლისი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი